საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030118581012315

№ 01-36/ო **09 / თებერვალი / 2015 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ,,სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და აღჭურვის" 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კონკურსის მეშვეობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^2 მუხლის თანახმად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის" 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის N14 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ (შემდგომში - სამინისტრო) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს კონკურსის მეშვეობით, წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად.

2. შეიქმნას ,,სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და აღჭურვის" 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის/საპროექტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვალერი კვარაცხელია – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) დავით ლომიძე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

გ) ივანე ბიბილაშვილი – სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

დ) ნოე ქინქლაძე – სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) გია კაკუშაძე – სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) ირმა ქიტიაშვილი – სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ირმა აბრამიშვილი – სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

3. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროში შეიქმნას კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნათია ბერუაშვილი – სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

ბ) ზურაბ ფესვიანიძე – სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სპეციალისტი.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო